ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1740365

ნომერი: AR1279995

თარიღი : 20.01.2015

გაცემის თარიღი : 18.02.2015

გაცნობის თარიღი : 09.03.2015

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, დგებუაძისა და ხვამლის ქუჩებს შორის (ნაკვ. 1/20);

დამკვეთი-განმცხადებელი

- გურამი მეფარიშვილი პ/ნ 12003000449
- თბილისი კოჯორი

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღია აივნის ამოშენება-შემინვა რეკონსტრუქცია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, დგებუაძისა და ხვამლის ქუჩებს შორის (ნაკვ. 1/20) არსებული შენობის რეკონსტრუქციის საკითხს.

გაცნობებთ, თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ თქვენს მიერ ჩასატარებელი სამუშაოები განეკუთვნება რეკონსტრუქციის ისეთ სახეობას, რომელიც საჭიროებს არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას და მშენებლობის ნებართვის გაცემას. შესაბამისად, თქვენს მიერ არასწორად მოხდა განაცხადის დარეგისტრირება.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონში 2013 წლის 6 სექტემბერს (ძალაში შესვლის თარიღი: 25.09.2013) შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, საკითხი განსახილველად უნდა გადაეცეს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს, კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს "კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების სექცია"–ს ამ მიზნით, განსახილველად წარმოდგენილი უნდა იქნეს სრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაცია, რისთვისაც შესაბამისი განაცხადი საჭიროა დარეგისტრირებული იქნეს შესაბამის ნომენკლატურაში: პროექტის შეთანხმება, მშენებლობის ნებართვის გაცემა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება სრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.